სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/01

(ოქმი N5)

ქ. ბათუმი 15 მარტი 2019 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14.07.2016წ) მე-20 მუხლის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 05 მარტის N02-19/503 წერილის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განახორციელოს შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

1) მინი მოძრავი პორტატული სატელევიზიო სადგური და პირდაპირი ჩართვის აპარატები - სავარაუდო ღირებულებით 475 000 ლარი;

2) სტუდიური ხმის პულტი, ვიდეოკამერები საინფორმაციო სამსახურისთვის და სტუდიური ვიდეოკამერები - სავარაუდო ღირებულებით 176 000 ლარი;

3) რადიოგადამცემების შეძენა - სავარაუდო ღირებულებით 99 000 ლარი.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2019 წლის 15 მარტიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი